

**წმინდა მამის
იოანე პავლე II-ის წერილი
კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორს**

1999 წლის 13 აგვისტო

მის მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობას ჯუზეპე პაზოტოს
კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორს

ეკლესიის ერთიანობის სახელით, პეტრე და პავლე მოციქულების საფლავებიდან, მოციქულებისა, რომლებმაც თავიანთი მოწმეობა სისხლის ბეჭდით დაადასტურეს ქალაქ რომში, მოგესალმებით თქვენ და კავკასიის კათოლიკურ საზოგადოებას: წყალობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღმერთისა და თანადგომა სულისა წმიდისა იესო თქვენდა" (2 კორინთ. 13,13).

ჩემს ახლო თანამშრომელთან, არქიეპისკოპოს ჯოვანი ბატისტა რესთან ერთად, თქვენ შეიკრიბეთ, რათა აკურთხოთ ეკლესია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე საქართველოს ისტორიის კუთვნილება იყო და წარმოადგენს მნიშვნელოვან ძეგლს კათოლიკური ეკლესიის არსებობისა ამ საყვარელ ქვეყანაში. ეს შენობა მოწმეა როგორც, საქართველოს ძნელბედობისა, ასევე აქაური კათოლიკების მიერ გაღებული მსხვერპლისა. მაგრამ, ღვთისმშობლის ამადლების სახელობის ეს ტაძარი კვლავ აღსდგა, ვითარცა სიმბოლო საქართველოს განახლებული იმედისა და ცნობა აღმდგარი ქრისტესი, რომელშიც ყოველი ბნელი ნათლად მოიქცევა.

ეს შენობა ადამიანის ხელითაა ნაგები, იმათი ხელით, ვინც თავადაა "სულიერ სახლში ჩაშენებული ცოცხალი ქვები" (1 პეტრე 2, 5). ამიტომაც ეს ნაგებობა არის ხატი ეკლესიის საიდუმლოსი, "წმინდად ნაგები ქრისტეს სისხლით, მისი დიდებით გასხივოსნებული საცოლვე, შეუბღალავი სიწმინდის ქალწული, სულის ძალით ნაკურთხი დედა" (ეკლესიის კურთხევის ლოცვა). იგი წარმოადგენს ქრისტეს მარადიული მსხვერპლის ტაძარს. მისი საკურთხეველი "სიმბოლოა თავად ქრისტესი, რომელიც, თავის ერთგულთა შორის მყოფი, ჩვენი გამოსყიდვისთვის გაღებული მსხვერპლიცაა და იმავდროულად ღვთიური საკვებიც, საკუთარ თავს რომ გვთავაზობს". (კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო. 1383).

მხურვალედ ვლოცულობ, რომ ეს ეკლესია და იქ შეკრებილი ქრისტეს ერთგულნი, სულ უფროდაუფრო იქცნენ ნიშნად და იარაღად ახალი და ცხოველმყოფელი სიცოცხლისა ყველა ქართველი კათოლიკესათვის ქრისტიანული ერის მესამე ათასწლეულში. ცად ამადლებულ წმ. მარიამს ვავედრებ მთელს ქართულ კათოლიკურ საკრებულოს. დაე "მზით შემოსილი ქალი, ფერხით დაფენილი მთვარითა და თავზე თორმეტი ვარსკვლავის გვირგვინით" (გამ. 12.1) შეუძღვეს ქართულ ეკლესიას თავისი ძის უკვდავ ნათელში. მასში დიდების საწინდრად, ვუთვლი ჩემს სამოციქულო ლოცვა-კურთხევას ყველას, ვინც იზიარებს ამ დიდ სიხარულს.

ვატიკანი, ღვთისმშობლის ცად აღყვანების დღესასწაული, 1999 წლის 13 აგვისტო.

იოანე პავლე II